ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 357

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს" (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე №01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის" (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს" (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე №01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის" (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ხელშეკრულების 9.2 პუნქტის საფუძველზე, ასევე, შპს „ნიუ გლდანის" (ს/ნ: 405653859) 2025 წლის 23 აპრილის №10/01251132776-61; 2025 წლის 15 მაისის №10/01251352951-61 და ამხანაგობა „ნიუ გლდანის" 2025 წლის 19 ივნისის №19/01251702197-61 განცხადებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს" (ს/ნ. 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე №01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ.მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების

წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ. 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 25 ივნისის №25.1056.1206 განკარგულების დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე №01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი -- ---------- 2025 წ.

1) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის, სერგო ბირკაძის (პ/ნ: 57001006501) (შემდგომში - „**სააგენტო**");

2) ამხანაგობა **„ნიუ გლდანი“**, წარმოდგენილი თავმჯდომარის - ნინო ჯაფარიძის (პ/ნ: 01017032318) და გამგეობის წევრების: ნინო ცისკარიშვილის (პ/ნ: 01024066007), დიანა ანდრიაშვილის (პ/ნ: 01024019188), ირმა დეკანოსიძის (პ/ნ: 01017008306) და ია მჭედლიშვილის (პ/ნ: 01009009185) მიერ (შემდგომში - **„ამხანაგობა“**);

3) **შპს „ნიუ გლდანი“** (ს/ნ: 405653859), წარმოდგენილი კომპანიის დირექტორის, ზვიად შანავას (პ/ნ: 19001094896) მიერ (შემდგომში - **„კომპანია“**);

შემდგომში თითოეული ერთობლივად წოდებული, როგორც **„მხარეები“**, ხოლო ცალ-ცალკე - **„მხარე“**;

პრეამბულა

ვინაიდან, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო

საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ;

ვინაიდან, ზემოაღნიშნული ვალდებულებების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმდა „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე №01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულება (შემდგომში - **„ხელშეკრულება“**);

ვინაიდან, კომპანიამ 2025 წლის 23 აპრილის №10/01251132776-61; 2025 წლის 15 მაისის №10/01251352951-61 განცხადებებით მომართა სააგენტოს და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადის გახანგრძლივება არაუგვიანეს/არაუმეტეს 2025 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით. ამასთან, ამხანაგობა „ნიუ გლდანის“ 2025 წლის 19 ივნისის №19/01251702197-61 განცხადებით წარმოდგენილია თანხმობა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის (რიცხვი/თვე) №[●] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის (რიცხვი/თვე) №[●] განკარგულებების საფუძველზე,

მხარეები ვთანხმდებით, რომ დავდოთ წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში - „**შეთანხმება**“), შემდეგზე:

1.ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3.4. კომპანია ვალდებულია იმ შენობა-ნაგებობ(ებ)ის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება, სადაც განთავსდება გადასაცემი ფართი, უზრუნველყოს **არაუგვიანეს 2025 წლის 7 (შვიდი) ოქტომბრის ჩათვლით,** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2.წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული გარდა, ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელად.
3.წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე, იგი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ

სააგენტოში რეგისტრაციას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ შეთანხმების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდას სრულად უზრუნველყოფს კომპანია.
4.შეთანხმება შედგენილია 5 (ხუთი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ერთი რჩება შესაბამის ნოტარიუსთან, ხოლო თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

_____

შპს „ნიუ გლდანი“ (ს/ნ: 405653859)

_____

ამხანაგობა „ნიუ გლდანი “

_____

გამგეობის წევრები

_____

_____

_____

_____